Gardabani Municipality Preschool Educational Institution
Digitally signed by Gardabani Municipality Preschool Educational Institution
Date: 2022.05.17 14:46:20 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 38-2022

17 მაისი 2022 წელი

ქ.გარდაბანი

ერთი მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (მისამართი: ქ. გარდაბანი, ინდ. 1300 აღმაშენებლის ქ. N127), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ჯემალ დავითაძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ქონსტრაქშენ მატერიალს", წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირი ელნურ შირმამედოვის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე". ,,კვირა", ,,თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 ,,მხარე" - ,,შემსყიდველი" ან/და ,,მიმწოდებელი".

1.7 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს - შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სამშენებლო მასალებისა და დამხმარე სამშენებლო მასალების შესყიდვა დანართი N1-ს შესაბამისად.
2.2. CPV – 44100000; 44163100; 44167300.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1006.80 (ერთი ათას ექვსი ლარი და 80 თეთრი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები დავადები

4.1 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ,,მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზდელო დაწესებულების წარმომადგენელი ნუგზარი გოგოლიძე ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შ.პ.ს. „ქონსთრაქშენ მატერიალს“-ის წარმომადგენელი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;

ბ) ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

გ) ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. საქონლის მიწოდების ვადა

6.1 საქონლის მიწოდება ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდალური დღე;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველი“ უფლემაბოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ველდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული საქონელი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სკოლამდელი სააღმზდელო დაწესებულების წარმომადგენელი ნუგზარი გოგოლიძე.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებების ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით.დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

ძწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურებაან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით ,,მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხიდან.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელისაღმზრდელო დაწესებულება მის: ქ. გარდაბანი ინდ. 1300 დ. აღმაშენებლის ქ. №127 საიდენტიფიკაციო კოდი: № 226574962	შპს „ქონსტრაქშენ მატერიალს“ ს/კ: 426540031 იურიდიული მისამართი: ქ. გარდაბანი, 9 მაისის ქ., N2, ბ. N18 საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება: ს.ს. „თი ბი სი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: N GE59TB7444136080100010
გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის მ/შ:	შპს „ქონსტრაქშენ მატერიალს“ -ის დირექტორის მინდობილი პირი

ალბერტ თავიდაძე

ელნურ შირმამედოვი

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	CPV კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	პლ. მილი Ø 25 (თეთრი)	44163100	მეტრი	252	3.9	982.80
2	პლ. მილის ფიტინგი (მუფტა) Ø 25 (თეთრი)	44167300	ცალი	20	0.6	12.00
3	პლ. მილის ფიტინგი (მუხლი) Ø 25*90 (თეთრი)	44167300	ცალი	20	0.6	12.00
4	**სულ ჯამი (ლარი)**					**1006.80**

ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის
სკოლამდელი სააღმზრდელო
დაწესებულების დირექტორის მ/შ

შპს „ქონსტრაქშენ მატერიალს“ -ის
დირექტორის მინდობილი პირი

ჯუმალ დავითაძე

ელნურ შირმამედოვი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2022 წლის „17" „მაისი"

ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სამშენებლო მასალებისა და დამხმარე სამშენებლო მასალების (CPV – 44100000; 44163100; 44167300) შესყიდვასთან დაკავშირებით, გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მიმწოდებელთან (შ.პ.ს. „ქონსტრაქშენ მატერიალს", ს/კ: 426540031) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ ჯემალ დავითაძე

მიღება-ჩაბარების და ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ ნუგზარი გოგოლიძე